

პაატა ბუხრაშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

## ერთი არქეოლოგიური ნივთის ფუნქციის განსაზღვრისათვის

უკვე მეორე წელია, რაც ილიას სახელწიფო უნივერსიტეტისა და ჰალლეს (გერმანია) მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, მთა ნაზრლების თხემზე, გვიანი ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის ნამოსახლარს შეისწავლის.

მიმდინარე 2018 წელს, აქ გამოვლინდა მეტად საყურადღებო საკულტო ნაგებობა (ტაბ. I სურ. 1), რომელიც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1977-78 წწ.-ში, კაე<sup>1</sup> -ს მიერ შესწავლილი შილდის სამლოცველოს<sup>2</sup> მსგავისი უნდა იყოს (ტაბ. I სურ. 2). თავის მხრივ, ეს ფაქტი კი ამ მხარეში, აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, ერთიანი სამეცურნო-კულტურული და სულიერი სამყაროს არსებობის უტყუარ დამადასტურებელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ნაზარლების ნაქალაქარის ზედა ტერასაზე გამოვლენილი ეს სამლოცველოც წრიული ფორმისაა,<sup>3</sup> რომლის გალავნის (განი - 1-1.5 მ.) პერანგი მკვიდრად არის ნაგები საგანგებოდ ნარჩევი დაუმუშავებელი ოფებით, ხოლო მისი რიგთაშორისი სივრცე ხურდა ქვებით არის შევსილი. საგარაუდოდ, კედლის სიმაღლე, აქაც 1.5 მეტრიდან 2 მეტრამდე მაინც უნდა ყოფილიყო, რაზეც მეტყველებს სამლოცველოს ინტერიერში, დასავლეთ მხარეს, ერთ ზოლზე წრიულად მიმობნეული ხელსაფქვავები, რომლებიც თავის დროს, აღბათ, კედლის თავზე, გასწვრივ უნდა ყოფილიყო დალაგებული.

სამლოცველოს დასავლეთ კედელში, იატაკიდან 0,5-1 მ-ის სიმაღლეზე, ისევე როგორც ეს შილდის სამლოცველოზეა დაფიქ-სირებული, შიდა მხრიდან თახჩები უნდა ჰქონოდა დატანებული, სადაც შენირული ნივთები, კერძოდ კი „ხატის განძი“ ინახებოდა

<sup>1</sup> კაე - კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (1956-2006 წ.წ.)

<sup>2</sup> ბ. მაისურაძე, ლ. ფანცხავა; შილდის სამლოცველო (კატალოგი), კაე-ს შრომები VII, მეცნიერება, თბ. 1984; გვ. 113.

<sup>3</sup> მიმდინარე წელს ძეგლზე გეომაგნიტური დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის პროფესიონალური მუნიციპალური უნივერსიტეტის მიერ (Prof. Dr. Jörg Faßbinder. Ludwig-Maximilians-Universität München)

(ტაბ. II სურ. 1). ამაზე მიგვითითებს აღნიშნული მასალის აღმოჩენა იატაკის დონეზე (ტაბ. II სურ. 2), ინტერიერში, დასავლეთ მხარის კედლის ძირთან, რომელიც აქ, ამ კედლის დაქცევის შედეგ უნდა იყოს ჩანოლილი ჩამონგრეული ქვების ქვეშ.

სამლოცველოს შემოსასვლელი აღმოსავლეთ მხრიდან უნდა ჰქონდა და მის ცენტრში განლაგებული უნდა ყოფილიყო ოთხეუთხა ფორმის საკურთხეველი, რომელიც საგანგებოდ ჩანს მტრის მიერ დანგრეულ-შეურაცხყოფილი. აქვე აღმოჩნდა ირმის მცირე ზომის სკულპტურაც (ტაბ. VI სურ 2).

სამლოცველოზე, ისევე როგორც ზოგადად ნაზარლების ნაქალაქარზე აღმოჩნდილი კერამიკა ტიპიურია ზოგადად იორ-ალაზნის ორმდინარეთში კარგად შესწალილი გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკისა და სავარაუდოდ, იგი აქაც ქრისტემდე XIV-XII სს-ით უნდა დათარიღდეს.

შესაბამისად, ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს ზოგადად ნაზარლების მთაზე განლაგებული ეს ნამოსახლარიც.

ამჯერად, გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ ნაზარლების სამლოცველოში აღმოჩნდილ განძში შემავალ ერთ ნივთზე, კერძოდ კი ბრინჯაოს მახვილის იმიტაციაზე (ტაბ. III სურ. 1-2), რომელიც უპრეცენდენტო რაოდენობით იქნა აქ დაფიქსირებული – 457 ცალი (458-ე ძალზედ ფრაგმენტირებული ცალი აღმოჩნდა განძის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კონცენტრირებული კერამიკის ალაგების შემდეგ).

ბრინჯაოს მახვილის იმიტაციები, იორ ალაზნის ორმდინარეთში, გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე (განსაკუთრებით სამარხებში – ფევრების სამაროვანი, დიდაურის ყორდანის ჩაშვებულ სამარხში) ბევრგანაა დაფიქსირებული. 9 ცალი ამგვარი იმიტაცია აღმოჩნდია შილდის სამლოცველოზეც.<sup>4</sup>

მაშასადამე, ამ პერიოდში, ეს იმიტაციები აღმოჩნდია ორი ხასიათის ძეგლებზე – სამარხებში და სამლოცველოებზე, რაც, ჩვენის აზრით, განსაზღვრავს კიდევაც მათ საკრალურ ხასიათს იმ პერიოდის მოსახლეობის სულიერ-კულტურულ ყოფაში.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შესწავლით სამლოცველოებზე, გამომდინრე მათი ხასიათდან (განსაკუთრებით ეს ეხება იმ ხატ-სალოცავებს, რომლებიც ტრადიციულად მიიჩნეოდნენ მამაკაცთა მფარველად) დაფიქ-

<sup>4</sup> ბ. მაისურაძე, ლ. ფანცხავა; დას. ნაშრომი, გვ. 11

სირებულია საყოფაცხოვრებო ნივთებისა და საბრძოლო იარაღის იმიტაციების შენირვის ფაქტები — მაგ. იმიტირებულ „შუბებს“ სწირავენ წმ. გიორგის სახელობაზე აგებულ სალოცავებს როგორც აღმოსავლეთ საქართველოში (წიფორის წმინდა გიორგის ხატი<sup>5</sup>), ასევე დასავლეთ საქართველოში (ჰადიშის ქუდოსანი წმინდა გიორგის ხატი<sup>6</sup>). ამ ხასიათის სალოცავებს სწირავდნენ მახველარნი ისრის პირებსა თუ სხვადასხვა სახის იარაღსაც. მაგ. თავრარის (ზემო სვანეთი) წმ. გიორგის სალოცავის აღწერისას, პირადად გვაქვს დაფიქსირებული ამგვარი ფაქტი — აქ, სალოცავისადმი შენირულია ისრის და შუბის პირები მოყოლებული განვითარებული შუა საუკუნეებიდან, გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით; რომელსაც მოგვიანო პერიოდში ენაცვლება კაუიანი თოფის ფინდიხები, ხოლო შემდგომ ხანებში ვინტოვკის ტყვიები და AK-ს ტყვიებიც კი. ამგვარად ამ სალოცავში დაფიქსირებულია საბრძოლო ხასიათის ნივთების შენირვის ფაქტის თითქმის 800 წლოვანი დინამიკა.

ხატებშივე ინახებოდა იარაღიც, რომლითაც ხატის სახელით იბრძოდნენ თემის საუკეთესო მეომრები მტრის მოსაგერიებლად თუ სხვა ხასიათის ბრძოლებში.

ქართულ ხალხურ პოეზიაში ამის დამადასტურებელია თუნ-დაც ეს ლექსიც:

„ბეთლემის კარზე კიდია  
ვოუა ჯურხას ფარიო,  
მოუვლის ომის წადილი,  
ხანდისხან შასძრავს ქარიო.“<sup>7</sup>

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის სხვადასხვა ვარიანტებში, დასახელებეულია სხვადასხვა სალოცავთა სახელები, გამომდინარე იქიდან, თუ სადა ესა თუ ის ვარიანტი ჩაწერილი - ხევსურეთში („მიქეელის (სალოცავის დასახელება-პ.პ.) კარს შეხვიდეთ...“), ფშავში („ლაშარის ჯვარსა ჰკიდია...“) თუ კახეთში („ალაზნის პირსა ჰკიდია...“).<sup>8</sup> ანუ, მთქმელების მიერ დაშვებულია, რომ იარაღი ინახებოდა სხვა ხატებშიც.

<sup>5</sup> ს. მაკალათია, მთიულეთი, სახელგამი, თბ. 1930, გვ. 150-151

<sup>6</sup> პ. ბუხრაშვილი, ლიჩენიში - ქეობა ჰადიშის (ზემო სვანეთი) თემში, კავკასიოლოგის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული ინსტიტუტის მოამბე „ამირანი“ VI, გვ. 7-19

<sup>7</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტ. III გამ. „მეცნიერება“, თბ. 1972, გვ. 83

<sup>8</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტ. III გამ. „მეცნიერება“, თბ. 1972, გვ. 284-285

ეთნოგრაფიული ყოფიდან ცნობილია ისიც, რომ თუ ხატის იარაღით მებრძოლი მეომარი დაიღუპებოდა, ეს იარაღი გადაეცემოდა თემში გამორჩეულ სხვა მეომარს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ნაზარლების სამლოცველოში დაუნჯებული „ხატის“ განძში შემავალი სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების ხასიათს გათვალისწინებით, სავსებით დასასვებად მიგვაჩნია გარკვეული პარალელების გავლება ქართულ (ზოგადკავკასიურ) ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ ელემენტებსა და არქეოლოგიურ არტეფაქტებს შორის:

1. ბრინჯაოს მახვილის იმიტაციები – სავარაუდოა, რომ სამლოცველოზე მოსული მეთემ მახვენარი მეომრები, ანუ იგივე „ხატის ყმები“,<sup>9</sup> ისევე როგორც ეს ეთნოგრაფიულ ყოფაშია დადასტურებული, საკუთარ სახელზე „ხატს“ სწირავდნენ ბრინჯაოს მახვილის იმიტაციებს, რომლებიც თავის მხრივ, როგორც ბრინჯაოს ერთგვარი „საფასნი“, ასევე ქმნიდნენ „ხატის განძსაც“.<sup>10</sup> ხოლო, ბრძოლაში დაღუპვის შემთხვევაში, ეს „ხატის“ მეომრები იკრძალებოდენ ხატში შენირული ამ იმიტაციებით; მათი ნამდვილი იარაღი კი გადაეცემოდა სხვა, ამავე თემის წევრ „ხატის შვილს“.
2. ხატის განძშივე შემავალი და ხატშივე დავანებული ბრინჯაოს მახვილი, სატევარი, საბრძოლო ცული, შუბისპირები, აფთები (ტაბ. IV სურ. 1-2-3-4) - ალბათ იყო იარაღი მეომრებისა, რომლებიც ხატის სახელით გამოდიოდნენ და მათი სიკვდილის ან სიბერის შემთხვევაში გადაეცემოდა ამავე თემის წევრ სხვა „ხატის შვილებს“. თავად ეს იარაღი კი ხატში ინახებოდა.
3. ბრინჯაოს ნამგალი (ტაბ. V სურ. 1) – მისით, ალბათ, ხატის ქურუმი თაბაგარის (მკაში მესვეური) ხელით მოიმკებოდა ხატის ხოდაბუნებზე მოყვანილი ხორბლეული, რომელიც ხატშივე იფქვებოდა, იქვე ცხვებოდა და საგანგებო საბჭ-.

<sup>9</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ქ. თუითი, პ. ბუხრაშვილი, ბინარიტეტი და კომპლემენტარიტეტი ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოში. ქალ-ვაჟის გაყვანა იახსრის ხატში. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოაბებ „ამირანი“ III, მონრეალი-თბილისი 2000 წ. გვ. 46-56 (ფრანგულ ენაზე); პ. ბუხრაშვილი, ლიჩენიში – ძეობა ჰადიშის (ზემო სვანეთი) თემში, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე „ამირანი“ VI, გვ. 7-19.

<sup>10</sup> როგორც ეს დაფიქსირებულია აღმ. საქართველოს ყოფაში დადასტურებულ მთელ რიგ სალოცავებში და საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ქართულ ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

- დავით (ტაბ. V სურ. 2) ისევე იბეჭდებოდა სარიტუალო სეფისკვერები, როგორც ეს ეთნოგრაფიულ ყოფაშია დადასტურებული.
4. ხატშივე, საგანგებო ჭურჭელში ინახებოდა სარიტუალო სასმელი, რომელიც აქვე საგანგებო სასმისებით (ტაბ. VI სურ. 1) შეისმებოდა მახვეწართა მიერ...

მართალია, ეს ყოველივე ერთგვარი ინტერპრეტაციაა, თუმცა არც თუ უსაფუძვლო, რაც შემაგრებულია ეთნოგრაფიული მონაცემებით.

დასასრულ გვინდა ალვინიშნოთ, რომ ნაზარლების გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა გრძელდება, რაც იმედია კიდევ ბევრს რასმე საგულისხმო ფურცელს გადაგვიშლის ამ პერიოდის კავკასიის უძველესი მოსახლეობის სოციალური და კულტურული ისტორიიდან.

Paata Buchraschwili (Staatliche Ilia-Universität)

### **Zur Deutung einer Gruppe von Artefakten aus dem Depotfund von Nazarlebi**

#### Résumé

In dem vorliegenden Artikel wird versucht, anhand von ethnographischen Beobachtungen die sakrale Funktion einer Gruppe von Artefakten - bronzenen Imitationen von Schwertern - aus dem Depotfund von der spätbronze- und früheisenzeitlichen Wallanlage Nazarlebi darzulegen.

Paata Bukhrashvili (Ilia state University)

### **To interpret a group of artifacts from the Depository of Nazarlebi**

#### Summary

This article attempts to use ethnographic observations to demonstrate the sacral function of a group of artifacts - bronze imitations of swords - from the deposit of the Late Bronze Age and early Iron Age ramparts Nazarlebi.

ტაბ. I



სურ. I



სურ. 2



სურ. I



სურ. 2

ტაბ. III



სურ. I



სურ. 2



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

ტაბ. V



სურ. I



სურ. 2



სურ. I



სურ. 2